ხობის მოამბე

№11 (7114) 19 ნოემბერი, სამშაბათი, 2019 წელი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლის სიტყვა სამწყოსადმი

ღამისთევის წირვა ფოთის ბრწყინვალე აღდგომის საკათედრო ტაძარში

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა! ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტესმიერ საყვარელო სამწყსოვ, მამანო და დედანო, ძმანო და დანო, ჩვენო ძვირფასო სულიერნო შვილნო!

უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჩვენს თვალწინ განვითარდა პროცესი, რაც თავისი არსით არის უმძიმესი და ურთულესი! მღელვარებამ მოიცვა მთელი საზოგადოება, მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოს უძველესი სამოციქულო საყდარი და აქ განვითარებული მოვლენები, რამაც არავინ დატოვა გულგრილი. ჩვენ აღმოვჩნდით იმ მდგომარეობაში, როგორც 2018 წლის ერთ-ერთ შეხვედრაზე მისი უწმიდესობა ბრძანებდა, „მთის მწვერვალიდან დაგორდა ლოდი“ და საფრთხე დაემუქრა ყველას და ყველაფერს!

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩემი მხრიდან არ იქნებოდა სწორი საერთო სახალხო სასამართლო პროცესში ჩართვა, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ემოციური დუღილის პროცესი, და ნებისმიერი მხრიდან ყოველგვარი განცხადება, თუნდაც კეთილი განზრახვით ნაკარნახევი აზრი, ისედაც მძიმე მდგომარეობის კიდევ უფრო დამამძიმებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

დღეს, როგორც არასდროს, გვჭირდება საღი აზრი, რაც შექმნილ ვითარებას გარკვეულწილად დაამშვიდებს და თანდათანობით დააბრუნებს განვითარების პერსპექტივაზე ორიენტირებულ კალაპოტში, იმ მძლავრ საყრდენზე, რაც საუკუნეთა განმავლობაში ქარიშხალთა პირობებში ეკლესიის მდგრადობას განაპირობებდა!

არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ წინ გველოდება არანაკლებ რთული გზა!

ჩვენს სახარებისეულ რწმენას წინ ელოდება დიდი გამოცდა!

დიდი გამოცდა ელის ჩვენს სამოქალაქო ცნობიერებასაც!

რასაკვირველია, ეს არის ქრისტიანული ცხოვრების, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე ორიენტირებული ერის არსებობის თანმდევი პროცესი.

საბჭოთა წარსული, რომელიც ტოტალიტარიზმისა და კოლექტივიზმის სახით ჯერ კიდევ ჩვენს ქვეცნობიერშია ჩამალული, კვლავინდებურად გვიტევს და ცდილობს წარსულში ჩვენს დაბრუნებას, როგორც ფარაონი, რომელიც ვერ ელევა ეგვიპტიდან აღთქმული ქვეყნისკენ მიმავალ ისრაელს, და ყველა მის ხელთ არსებული საშუალებით ცდილობს მის უკან დაბრუნებას! თუმცა, ჩვენ ვიცით, თუ რა ბედი ეწია მას (ფარაონს), როცა ორად გაპობილ მეწამულ ზღვაში ჰპოვა თავისი აღსასრული.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, მიუხედავად ტკივილებისა, ვიმოძრაოთ წინ და არ შევუშინდეთ ქარიშხალს!

დღეს ჩვენი ყველაზე დიდი მტერი არის შიში, სასოწარკვეთა და იმედგაცრუება! შიშმა არ უნდა მოიცვას ჩვენი გონება! ნუთუ ეჭვი გვეპარება იმაში, რომ სადაც ქრისტეა, იქ გამარჯვებაცაა?!

...და სადაც ქრისტიანულ ღირებულებათან ადამიანის ნების თანხვედრაა, იქ არის ქრისტე, ვითარცა მხსნელი!

ცოდვის, უკეთურებისა და ბოროტების წინააღმდეგ დაპირისპირების უალტერნატივო საშუალებაა სარწმუნოება, სასოება და სიყვარული!

შეშინებული და დამფრთხალი საზოგადოება, შეშინებული ქრისტიანი, ბევრად უფრო საშიში და სახიფათოა, ვიდრე ის, რისიც მას ეშინია!

ეკლესიის ცხოვრებაში პრობლემები იყო მისი დაფუძნების პირველივე დღეებიდან, არის დღესაც და იქნება მომავალშიც, რადგან ის ცოცხალი ორგანიზმია; ამაზე ვამახვილებდი ყურადღებას ჩემი საეპისკოპოსო ხელდასხმის წინ წარმოთქმულ სიტყვაში და ამაზე არაერთგზის მისაუბრია ჩემს სულიერ ძმებთან და თქვენთან, ჩემს სამწყსოსთან.

მაგრამ დღეს, მოცემულ ვითარებაში, ყოველივე ეს მეორეხარისხოვანი ხდება და უკანა პლანზე გადადის, რადგან დღის წესრიგში დგას ერთადერთი და უმთავრესი ამოცანა–შექმნილი კრიზისული ვითარების დაძლევა; და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბრის გაგრძელება იმ რეჟიმში და იმ გარემოში, რომელიც საშუალებას მოგვცემს, რომ ყოველგვარი ხელისშემშლელი ფაქტორებისგან განრიდებულად, ვიზრუნოთ არსებული პრობლემების დაძლევასა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

შექმნილ ვითარებაზე ყველაა პასუხისმგებელი!

და მაინც...!

ლაზარე, მეგობარი იესო ქრისტესი, მოკვდა!

მკვდარი ლაზარე ოთხი დღის განმავლობაში სიმყრალემ მოიცვა!, ...მაგრამ ლაზარე აღადგინა უფალმა!

ასე რომ, არანაირი მიზეზი არ გვაქვს სასოწარკვეთისა და იმედგაცრუებისა; გჯეროდეთ, გწამდეთ, „შეუძლებელი კაცთაგან, შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ“ (ლკ. 18,27).

მთელი არსი ქრისტიანობისა საუბრობს იმაზე, რომ ჩვენ ადამიანები ცოდვილნი ვართ, მაგრამ გვყავს მხსნელი, იესო ქრისტე, ძე ღვთისა, და მისთვის შეუძლებელი და დაუძლეველი რამ არ არსებობს!

წმიდა სახარებას იმიტომაც ეწოდება სახარება, რომ ის სიხარულს გვაუწყებს!

ღმერთმა გაგიმრავლოთ სიხარული!

ჩვენთან არს ღმერთი!

მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტი განიხილეს

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა დავით ჭოჭუამ მერის სათათბირო ორგანოს-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებს ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2021-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი წარუდგინა.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის განმარტებით ბიუჯეტის შემოსულობები 9920.9 ათასი ლარით განისაზღვრა. ხოლო, ძირითად პრიორიტეტებს–სოციალური სფერო, ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და სკოლამდელი განათლება წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად საკრებულოს წარედგინება.

ვულოცავთ!

ხობელი მკლავჭიდელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ

რუმინეთის ქალაქ კონსტანტაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს ხობელმა მკლავჭიდელებმა (მწვრთნელი კობა თუთბერიძე).

მსოფლიო პირველობაზე საბა ლატარიამ (-15. 60კგ. ორგზის ჩემპიონი, ორივე მკლავით), საბა დანელიამ (-15. 55 კგ. მარჯვენა მკლავი) დათუნა ჟიშკარიანმა (-21 წლ. 60 კგ. მარჯვენა მკლავი) და გულადი ბუკიამ (მარჯვენა მკლავი) ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

II ადგილზე გოგა დანელია (-18; 55კგ).

III ადგილზე გიგა კოდუა გავიდა.

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით და სიგელებით.

„დიალოგი ჭადრაკთან“

ქალაქ ხობში კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების ციკლი „დიალოგი ჭადრაკში“ დაიწყო.

ცენტრალურ პარკში ისტორიკოსმა გოგიტა ჩიტაიამ XIX-XX საუკუნეების ხობზე, მის ისტორიაზე, არქიტექტურაზე, გეოგრაფიაზე, პირველ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, მოსახლეებზე ისაუბრა და ღონისძიებაზე დამსწრეთა კითხვებს უპასუხა

შემდეგი შეხვედრები მეგრულ პოეზიას და რეპრესიების მსხვერპლებს მიეძღვნება

ღონისძიებების ციკლი ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით ტარდება

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გზის რეაბილიტაცია დასრულდა

ხობის მუნიციპალიტეტში ბიასაჯიჯაოს დამაკავშირებელი 5-კილომეტრიანი ცენტრალური გზის რეაბილიტაცია დასრულდა.

პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განახორციელა. გზის მშენებლობაზე 2.5 მილიონ ლარამდე დაიხარჯა.

პროექტის შესაბამისად: დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყო სანიაღვრე არხები, მოსაცდელი, რკინა-ბეტონის მილები, კიუვეტები და ეზოებში შესასვლელები.

გზა წლების განმავლობაში ამორტიზირებული იყო და სრულ რეაბილიტაციას საჭიროებდა.

ამ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების შედეგად მოსახლეობა კეთილმოწყობილ გზაზე, უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილდება.

ხამისკურში გაზიფიცირების პროექტი ხორციელდება

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ ხობის მუნიციპალიტეტის ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების პროექტს ახორციელებს

პროექტის შესაბამისად გაზიფიცირდება შემდეგი სოფლები: საქირიო, საკუკავო და ხამისკური.

ბუნებრივი გაზით სარგებლობის შესაძლებლობა 600 ოჯახს ექნება.

სამუშაობზე ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

გაზგამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაციას კომპანია „სოკარ-ჯორჯია გაზი“ განახორციელებს ამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები.

საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობის პროცესს ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია გაეცნო

„ღია შეხვედრებზე“ დასმული ამბულატორიის პრობლემა მოგვარდა

ხობის მუნიციპალიტეტის ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის რეაბილიტაცია დასრულდა. ამბულატორიის რეაბილიტაციის საჭიროების საკითხი „ღია შეხვედრების“ ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე დაისვა.

ამბულატორიაში შეიცვალა კარ-ფანჯრები, მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობა, წყლისა და კანალიზაციის სისტემები. გარემონტდა ჭერი, იატაკი და კედლები, მოეწყო პანდუსი. სამუშაოზე დასაქმდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამბულატორიის რეაბილიტაციაზე 23000 ლარი დაიხარჯა.

სოციალური დახმარების პროგრამა

ხობის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა მოქმედებს.

პროგრამის ბიუჯეტი 473800 ლარს შეადგენს ცხრა თვის მონაცემებით:

ოპერაციის თანადაფინანსების მიზნით 236 ბენეფიციარზე გაიცა 165 000 ლარის საგარანტიო წერილი.

17 სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა სახლის გადასახურად საჭირო მასალა.

სოციალურად დაუცველ ოჯახებს ყოველთვიურად უფინანსდება წყლის გადასახადი.

დიალიზზე მყოფ მოქალაქეებს ყოველთვიურად უფინანსდებათ ტრანსპორტირების ხარჯი.

უმწეოთა სასადილოში დღეში ერთჯერ უფასოდ იკვებება 135 ბენეფიციარი.

ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 15 ოჯახს გაეწია 28000 ლარის დახმარება.

171 ახალშობილის ოჯახს ჩაერიცხა 26000 ლარი.

გარემონტდა ხუთი ამბულატორია.

პოეზიის საღამო ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

თედო სახოკიას სახელობის ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო–„სულ ჩემი გულის მონაწურია, რაც დაეპწკარა ქაღალდს ლექსები“ გაიმართა.

პოეზიის საღამოზე ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა გიორგი ლეონიძის შემოქმედებიდან საუკეთესო ნიმუშები წაიკითხეს.

ღონისძიებას დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია და მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია ესწრებოდნენ.

ესეების კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება

ქალაქ ზუგდიდში, „ნატოს დღეები 2019“-ის ფარგლებში გამოცხადებული ესეების კონკურსში–„საქართველო და ნატო“ გამარჯვებული მოსწავლეების ნაშრომების პრეზენტაცია და დაჯილდოება გაიმართება.

კონკურსი საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშრის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.

ესეების კონკურსში ხამისკურის საჯარო სკოლის მოსწავლე ფიქრია თოლორდავამ მესამე ადგილი დაიკავა.

კონკურსში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სხვადასხვა საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ზუგდიდის, წალენჯიხის, სენაკის, მესტიის, ჩხოროწყუს, ხობის, ფოთის მუნიციპალიტეტებიდან გამოვლინდა 10 საუკეთესო ნაშრომი, რომლის ავტორებს სერტიფიკატები და სამახსოვრო წიგნები გადაეცათ.

ნატოს დღეები 2019 განსაკუთრებულად აღინიშნა საქართველოს რეგიონებში, სადაც საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით 80-მდე ღონისძიება გაიმართა. კერძოდ, ქვეყნის 10 რეგიონში, ნატოს დღეების ფარგლებში გაიმართა შეხვედრები მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან, საჯარო მოხელეებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე სოფლების მოსახლეობასთან, მედიასთან, და ა.შ.

ნატოს დღეები საქართველოში საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ საინფორმაციო ცენტრის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ ორგანიზებით, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატოს სახალხო დიპლომატიის განყოფილების, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისისა და საქართველოში პოლონეთის საელჩოს (ნატოს საკონტაქტო საელჩო) მხარდაჭერით გაიმართა.

შავღელე ეკომიგრანტების მეორე ოჯახია

ჩვენი სოფელი–შავღელე 21-ე საუკუნის პირმშოა.

შავღელეში ამჟამად ძირითადად აჭარიდან–ხულოს, ქედას და შუახევიდან ჩამოსახლებული ადამიანები–ეკომიგრანტები ვცხოვრობთ. შავღელე ეკომიგრანტების მეორე ოჯახია. ძალიან გვიყვარს ჩვენი ოჯახი–ხობი და მთლიანად სამეგრელო. სამეგრელო შავღელეში მცხოვრები აჭარლებისთვის საყვარელი კუთხეა.

როცა ამ კუთხეში ჩამოვსახლდით, სოფელში მარტო სკოლის შენობა არსებობდა. დღევანდელობაზე როცა ვსაუბრობთ, გვაქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახალი სამედიცინო ამბულატორია. აშენდა და ზეიმით აღვნიშნეთ საბავშვო ბაღის ექსპლოატაციაში შესვლა. გაკეთდა გზა. სოფელს ჰყავს ექიმი რაფიელ დარსალია. საჯარო სკოლაში 92 მოსწავლე სწავლობს. გვყავს 18 პედაგოგი. მათ შორის ორი, შორენა დავითაძე და თენგიზ მუმლაძე სერთიფიციებული პედაგოგია. სკოლის დირექტორია რამაზ მუმლაძე.

საბავშვო ბაღში 32 აღსაზრდელია (სპეციალისტი ლია მურვანიძე). სოფელში ამჟამად 182 კომლია 876 მცხოვრებით.

შავღელეში ძალიან შრომისმოყვარე ადამიანები ცხოვრობენ. ისინი ალალ-მართალი ხალხია, უყვართ შრომა და ერთმანეთთან მეგობრულად ცხოვრობენ. მათ შორის ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა სუფევს...

სოფელი 650 ჰექტარზეა გაშლილი. 450 ჰექტარი ნათესებს ეთმობა. ოჯახებში გაშენებულია თხილი და ხილის ნარგავები. ფაროსანას საწინააღმდეგოდ, ნარგავებისა და ფართობების გადასარჩენად ტარდებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიება. ხელისუფლება საამისოდ დიდ ზრუნვას იჩენს.

შავღელეში გაკეთებულმა გზამ გააუმჯობესა ხალხის ეკონომიური მდგომარეობა. გზამ ქალაქთან მისავლა იოლი და სწრაფი გახადა, რაც უადვილებს მოსახლეობას მოწეული მოსავალი ქალაქში სარეალიზაციოდ გაიტანოს.

რაც შეეხება ახალგაზრდებს, მშრომელები არიან. მათთვის დღეისთვის მხოლოდ ფეხბურთის სტადიონია გასართობი ობიექტი. იმედია, ხვალინდელი დღე მათთვის და სოფლისთვის უკეთესი იქნება. ჩვენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა გახლავთ სამელიორაციო სამუშაოების დროული ჩატარება. სოფლის გაზიფიცირება, წყალი გვაქვს. ამჟამად იცვლება წყლის მილები შიდა ქსელებში.

შავღელეში არსებობს მეჩეთი, სადაც აქ მცხოვრები მუსლიმანები ლოცულობენ. აგვისტოს თვეში ყურან-ბაირამობის დღესასწაულს აღვნიშნავთ. ის წინასწარმეტყველი აბრაჰიმის მსხვერპლშეწირვის მოხსენიებას ეძღვნება. აქ მცხოვრებ მუსლიმებს ყურან-ბაირამობის დღესასწაული სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ მიულოცა. დღესასწაულზე მათ სტუმრობდა სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად მისი პირველი მოადგილე დავით ფარცვანია და ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია. რაც ჩვენთვის დიდი პატივი გახლდათ.

ამასწინათ სოფელს ეახლნენ და შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, სადაც მოსახლეობამ თავიანთ პრობლემებზე ისაუბრა, მათთან ერთად იმსჯელეს მათი გადაჭრის გზებზე. ასევე ინფრასტრუქტრის მიმართულებით განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე, სოფლის მეურნეობის პროგრამებზე და ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის მთავარ პრიორიტეტებზე. ამათთან ერთად ეკომიგრანტებს შეხვდნენ ხულოს, ქედისა და შუახევის მერები, რაც მიგრანტებზე ზრუნვის გამოხატულებაა.

სოფელში „აწარმოე საქართველოს“ პროექტის ფარგლებში უკვე გაშენდა ჟოლოსა და მაყვლის ბაღები.

წინ ბევრი პროექტი და სამუშაო გველის...

მე და ჩვენს სოფელს უკეთესი ხვალინდელი დღე გველოდება. ახლა მთავარია, ფეხი ავუწყოთ ყოველ ინოვაციას და ჩავერთოთ სხვადასხვა პროექტებში, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას. თანასოფლელებთან ერთად უკეთესი ცხოვრების მოლოდინში ვართ.

ხათუნა მანველიძე,
მერის წარმომადგენელი შავღელეს ადმინისტრაციულ ერთეულში.

„იცოდე კანონი, იქნები დაცული!“

ვინ ითვლება ოჯახის წევრად და სხვა პასუხისმგებელ პირად ოჯახში ძალადობის დროს?

ოჯახის წევრად ოჯახში ძალადობის დროს ითვლება დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. ასევე, პირი, რომელთანაც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს არასრულწლოვანი, რომელზე ზრუნვისა და რომლის კანონიერი ინტერესების დაცვის ვალდებულებაც დაეკისრა აღნიშნულ პირს იმავე სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე.

ვინ ითვლება მსხვერპლად?

–მსხვერპლი არის ქალი, აგრეთვე ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ–მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).

მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომლის კანონიერი ინტერესები უგულებელყოფილია და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა. მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე არასრულწლოვანი, რომელიც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს სხვა პასუხისმგებელ პირთან ან ნებისმიერ სხვა პირთან, რომელმაც დაარღვია მისი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით, და რომელიც მოძალადისგან სოციალურმა მუშაკმა განაცალკევა.

მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა;

ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი არის პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ არის მსხვერპლი და რომელიც მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის მიზნით შესაბამის სამსახურს/ორგანოს/მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს მიმართავს.

ვინ ითვლება მოძალადედ?

–ოჯახის წევრი, რომელიც არღვევს ოჯახის სხვა წევრის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.

მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე ოჯახის წევრი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ ძალადობას ან იძულებას.

მოძალადედ მიიჩნევა აგრეთვე სხვა პასუხისმგებელი პირი ან ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც არღვევს სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ან მათ გარეშე მასთან ფაქტობრივად მყოფი/მცხოვრები არასრულწლოვნის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობით ან იძულებით.

თამუნა სიჯინავა.

ხალხის საკეთილდღეოდ

ხობი ჩვენი სახე და სავიზიტო ბარათია

–„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს რომ ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“–ეს გამონათქვამი სრულიად მიესადაგება ხობის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებს, განახლებულ მაშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, აღდგენილ და აშენებულ ხიდებს, განათებულ ქუჩებს, ულამაზეს ცენტრალურ პარკს (სადაც ამჟამად მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს), კულტურის ცენტრებს, მუზეუმებს, ბაღებს, სკოლებს, სკოლამდე მისასვლელ გზებს, მოწესრიგებულ სველ წერტილებს, სპორტულ მოედნებს, ახალი დიზაინით აშენებულ მოსაცდელებს, ხიდ-ბოგირებს და მათთან მისასვლელ გზებს, სკვერებს, ნაწილობრივ გაზიფიცირებულ სოფლებს (სამუშაოები მიმდინარეობს).

სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებს, საწრეტ არხებს, რეაბილიტირებულ მედპუნქტებს, მოასფალტებულ და ცემენტო-ბეტონით მოწყობილ საფარებს, ლითონის ხიდებს, ახალ და რეაბილიტირებულ ეკლესიებს და რაც მთავარია, ათობით და ათასობით დასაქმებულ ადამიანს.

ვის არ ნახავთ მშენებელთა გვერდით. საქართველოს პარლამენტის წევრს ხობის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი (დაჩი) ბერაიას, რომლის ინიციატივით არაერთ პროექტს ჩაეყარა საფუძველი, სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორს ალექსანდრე მოწერელიას, მის მოადგილეს ლუდუკი ხასიას. ხობის მუნიციპალიტეტის მერს გოჩა ქაჯაიას, მოადგილე ვარაზ გაბედავას, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავას, საკრებულოს წევრებს.

ინფრასტრქტურული სამუშაოების მიმდინარე პროცესის მონიტორინგი ინტენსიურად გრძელდება.

გადაუჭარბებულად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი მასშტაბური ინფრასტუქტურული პროექტები არ განხორციელებულა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. თუმცა პრობლემები და გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

გულწრფელად ვამბობ, თუ გული გულობს. თურმე შეიძლება აშენდეს, გაკეთდეს, გალამაზდეს, გაძლიერდეს თუ მონდომება და გულწვაა საქმისადმი. თანდათან ხომ უკეთესობისკენ მიდის ქვეყანა. ღმერთმა დალახვროს ის წყეული ჟამი, როცა ყველაფერი აირ-დაირია, დაინგრა, გავერანდა, გაიხლიჩა. შურმა, მტრობამ, ღალატმა ქვეყანა უფსრკულამდე მიიყვანა. დადგა დრო, როცა ყველანი უნდა მივხვდეთ ცხოვრება „ესსე წარმავალ არ და დაუდგრომელი“, სანამ ვართ უნდა დავინდოთ ერთმანეთი, უნდა შევქმნათ რისი შექმნაც შეგვიძლია, დავატყოთ ხელი იმას, რაზედაც ხელი მიგვიწვდება. მოვუაროთ ჩვენს პატარა ქვეყანას და სასიკეთოდ შევუცვალოთ იერი...

ყველამ თავისი საკეთებელი საქმე უნდა აკეთოს, ვისაც მოვალეობად აკისრია მისი კეთება და იმანაც, ვინც სულაც არ არის ვალდებული, მაგრამ სამშობლოს სიყვარული და კაიკაცობა აკისრებს მას.

„არც მგლის მოდგმის ვარ, რომ საჭმლის შოვნისთვის ვიცხოვრო, მხოლოდ ერის შვილი ვარ მე, ფიქრი მჭირია და საზრუნავი, მრავალი ომი გადავიტანეთ, რომელსაც დიდი სიამოვნებით შესწირავდი სულაც, მაშინ გარდაქმენი იგი და მოიყვანე წესრიგში, რაც შეიძლება რაციონალური გზით“.–ამ დარდითა და ფიქრით ფეხდაფეხ მივუყვები მიმავალ გზას, ფიქრები ჩემთან მიიკვლევენ უსასრულობას, მზიანი შემოდგომის მოუსვენარ ნიავქარს. დედაბუნებას სიმწიფის სუნი მოაქვს. გზადაგზა ვადევნებ თვალს, სადაც შენება და მშვენება მიდის. თანდათან ვუახლოვდები ყორათის ხიდს, აქედან იწყება სოფლის სახეცვლილება.

შუა ხორგა-ყორათი ულამაზესი სოფელია, მადლიანი და უღალატო ხალხით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით საოცარი სტუმარ-მასპინძლობით, გამორჩეული გამრჯე და მშრომელი ადამიანებით, ხვავით, ბარაქით, ღირსეული და საამაყო შვილებით, ეროვნული გმირებით, ტკივილითა და სიხარულით.

გავიარე „ქალაქური“ ქუჩები ქათქათა ხიდ-ბოგირები, მათთან მისასვლელი გზები და თავი მასპინძლის ამპლუაში ვიგრძენი, რადგან ის ჩემი მშობლიური სოფელიცაა, ჩემი ახალგაზრდობის ულამაზესი წლები აქ მაქვს გატარებული. სიხარულით, სიყვარულით ვხვდებოდი მონატრებულ ხალხს. ვესაუბრებოდი გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე, პრობლემებზე, ჭირზე და ლხინზე. ისინი მადლიერებას გამოხატავდნენ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, აფასებდნენ მათ ღვაწლს და მოკრძალებით ითხოვდნენ რაც შეიძლება მალე მოხდეს სოფლის გაზიფიცირება, ინტერნეტიზაცია. გადაიჭრას ყველა ის პრობლემა, რაც სოფლის მოსახლეობას აწუხებს, უფრო

ლი გზები, მინი მოედნები, ამოიწმინდა არხები, შემოკავებულიქნა სოფელში არსებული სამი სასაფლაო, ეკლესიის წინა ხედი და საბავშვო ბაღის ეზო.

მეტი სამუშაო ადგილები, რათა გაძლიერდეს სოფელი და ხალხმა სული მოითქვას.

წამით ეროვნული გმირის ზვიად დათუაშვილის საფლავთან შევჩერდი წუთიერი დუმილით პატივი მივაგე მის ხსოვნას და გეზი ადმინისტრაციული ერთეულის შენობისკენ ავიღე.

სოფლის თავკაცი მოვიკითხე, ბატონი ვალერიან ქაცარავა–კარგი მამულიშვილი, სოფლის მოჭირნახულე, სული და გული. მოგეხსენებათ სოფელში ყველას თავისი გასაჭირი აქვს, ეს კაცი ამ გაჭირვების ტალკვესია, მისი ყოველი სიტყვა საქმედ იქცევა, ამიტომ არის თავკაცი, ამიტომ სცემენ პატივს. დიდია პროექტების ნუსხა, რომელიც მისი თავკაცობის პერიოდში განხორციელდა და გრძელდება დღესაც. გაუმარჯოს ასეთ ადამიანს, რომელიც ყოვლთვის ფიქრობს თავისი სოფლის წარმოჩენისთვის, მისი კეთილდღეობისთვის, ჯანსაღი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.

ჩვენი შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევითა და მონდომებით ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა.

აშენდა ახალი ხიდები, ხიდ-ბოგირები, მასთან მისასვლელი გზები, ამოიწმინდა არხები, შემოკავებულიქნა სოფელში არსებული სამი სასაფლაო, ეკლესიის წინა ხედი და საბავშვო ბაღის ეზო.

შუა ხორგა–ყულევის მონაკვეთზე დაიგო ასფალტის საფარი, ხოლო შუა ხორგის–ქარიატის გზაზე ცემეტო-ბეტონის საფარი დაიგო.

მთელი სოფლის მასშტაბით მოხდა სასმელი წყლის რეაბილიტაცია.

ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

კეთილმოეწყო ფეხბურთის სტადიონი.

(ყველა ჩვენთაგანის სურვილია, ჩვენი ყოველდღიურობიდან გაქრეს ქუჩებსა და ეზოებში ანტისანიტარია)

სალატარიოს უბანში მალე გზის რეაბილიტაცია დაიწყება და ამით მთლიანად დასრულდება გზების მშენებლობა.

ყორათის უბანში, აშენდა კომფორტული ავტო მოსაცდელი, ასევე აშენდა მეორადი ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც დასაქმდა რვა ადგილობრივი მცხოვრები.

სოფლის ხელმძღვანელობა ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ბატონ ბატონ ვალერიან ქაცარავა გვერდიგვერდ ათეულ წელზე მეტია დაუღალავად შრომობენ და სოფელს ღირსეულად ემსახურებიან სპეციალისტები ქალბატონები მაგული ცირდავა და მეტვარ ლატარია, უნიკალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი ირმა მურღულია, გულთბილი და ჰ იპოკრატეს ფიცის ერთგული ოჯახის ექიმი სოფია მალანია, ექთანი ელისო დოლბაია, ბევრი სამადლობელი სიტყვა ითქვა ამ ადამიანების მისამართით, ბევრი მადლიერი ხალხი შემხვდა სოფელში. დიდხანს სიცოცხლე მათ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

და ბოლოს, დასკვნით ნაწილში, დავესესხები აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილს „ადამიანად ყოფნა უბრალო დროსტარება და გართობა არ არის, ადამიანობა მძიმე ტვირთია და გამუდმებული ბრძოლაა საჭირო პიროვნების მოსაპოვებლად, მხოლოდ ამ ბრძოლაში გამარჯვებულს აქვს უფლება დროც ახაროს და მხიარულიც იყოს“.

თქვენ გამარჯვებულები ხართ ჩემო ხორგელებო. ყველას მინდა მადლობა გითხრათ გულთბილი მიღებისთვის იმ დიდი სიყვარულისთვის თქვენგან რომ მივიღე.

იხარეთ, იდღეგრძელეთ. დაგელოცოთ სახლ-კარი, არ მოგაკლოთ უფალმა შვილები, შვილიშვილები, ჯიშ-ჯილაგი ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ, ხვავი, ბარაქა და გემრიელი შემოდგომა...

* * *

თანდათანობით სოფელს ახლებურად ვხედავ, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება, ეს პროცესი შეუქცევადია.

რა იქნება ხვალ?

ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების პრეზენტაცია გაიმართება, პრობლემები გადაიჭრება, გაუმჯობესდება, გაჯანსაღდება ადამიანების ცხოვრების წესი, შეიქმნება უკეთესი გარემო ახალაზრდობისთვის, ბევრ ინიციატივას ჩაეყრება საფუძველი და აქვე გაძლიერდება ქვეყანა. აქვე მინდა ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით გავაჟღერო, რომ ხობის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, ახალ პროექტს ჩაეყარა საფუძველი, საქართველოს ერთიანობისთვის შეწირული გმირების საფლავზე მათი სახელების უკვდავსაყოფად ობელისკები აღიმართება...

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები“ გაერთიანდება, გაძლიერდება ქვეყანა და მივაღწევთ იმ მიზანს, რასაც ქვეყნის ნათელი მომავალი ჰ ქვია.

ნაირა ბერაია

ჩვენს მუნიციპალიტეტში

მერმა პირველი მაისისა და ძველი ხიბულის მოსახლეობას ანგარიში წარუდგინა

პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა მან მერმა განხორციელებულ, მიმდინარე და მომავალი წლისთვის დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

„2019 წელს ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაციაზე 25 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება და მოსახლეობასთან შეხვედრებზე დასმული საკითხები მოგვარდება.

რაც შეეხება 2020 წელს –მნიშვნელოვანი პროექტებია დაგეგმილი გზების, ამბულატორიების, სკოლების რეაბილიტაციის, წყლის სისტემის მოწყობისა და სოფლების გაზიფიცირების მიმართულებით“–აღნიშნა მან.

მერმა ანგარიშის პარალელურად მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების ამსახველი ფოტო-ვიდეო კოლაჟის ჩვენება მიმდინარეობდა.

ანგარიშის მოსმენას ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეები, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საკრებულოს წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ 2019 წელს განხორციელებულ, მიმდინარე და 2020 წლისთვის დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.

წელს ხობის მუნიციპალიტეტში 145 პროექტი განხორციელდება, რაზეც 25 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. გარემონტდა სკოლები, ამბულატორიები, საბავშვო ბაღები, დასრულდა ხობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი, მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა, ამოიწმინდა სანიაღვრე არხები, აშენდა ხიდები და ხიდბოგირები; ხოლო, პროექტების ნაწილი მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება. ყოველივე ეს კი ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კოორდინირებული საქმიანობის შედეგია–აღნიშნა მერმა

შეხვედრას ძველი ხიბულის, ახალი ხიბულის, საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები მოქალაქეები და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ხობში საზოგადოებრივი ცენტრი შენდება

ქალაქ ხობში საზოგადოებრივი ცენტრი შენდება. ცენტრის მშენებლობის პროცესს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა გაეცნენ.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სახელმწიფო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკითა და საკონფერენციო დარბაზით სარგებლობის შესაძლებლობა ექნება.

საზოგადოებრივი ცენტრი მომხმარებელს მრავალფეროვან მომსახურებას, გამარტივებულ პროცედურებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას და თანამედროვე ინფრასტრუქტურას სთავაზობს.

ცენტრის მშენებლობაზე 645888 ლარი დაიხარჯება და მოქალაქეებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი ცენტრით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცემათ.

სპექტაკლის პრემიერა

ხობის კულტურის სახლის დიდ დარბაზში მწერალ ლაშა გვასალიას მოთხრობა „ჯასტაგანის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.

სპექტაკლი მაყურებელს „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრთან“ არსებულმა თეატრალური დასის ახალგაზრდა მსახიობებმა წარუდგინეს (ინსცენირება და დადგმა მანანა შამათავასი).

სპექტაკლს ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მახარე ჩოკორაია და მწერალი ლაშა გვასალია ესწრებოდნენ.

მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებთან შეხვედრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით, იუსტიციის სასწავლო ცენტრში მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებთან სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

შეხვედრას პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარი, ხობის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარე ანტონ ვარდია და სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წარმომადგენლებს ტრენინგი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ჩაუტარეს. მათ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრებს ის დაგეგმილი მასშტაბური საკანონმდებლო ცვლილებებიც გააცნეს, რომელსაც მთავრობა მიწის განაწილების საკითხის გადასაჭრელად გეგმავს.

როგორც ცნობილია, მოსახლეობისთვის მიწის განაწილების პროცესის გასამარტივებლად და ამ ნიადაგზე მოქალაქეებს შორის დავების თავიდან ასაცილებლად მომავალი წლიდან იგეგმება სპეციალური, კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებული ჯგუფების შექმნა და მსგავს გეოგრაფიულ არეალებში სპორადულთან ერთად სისტემური რეგისტრაციის პროექტის განხორციელება.

პირველ მაისში ნაპირდამცავი გაბიონი შენდება

*ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბულიწყუში ნაპირდამცავი გაბიონი შენდება

*პროექტი, საქართველოს მთავრობის მიერ ხობის მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხიდან დაფინანსდა

*პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 114880 ლარს შეადგენს, ხოლო გაბიონის სიგრძე 170 მეტრი იქნება

*გაბიონის მოწყობის შემდეგ დატბორვისგან დაცული იქნება მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და მდინარე მუნჩიას სანაპირო ზოლი.

გზა განათლებისკენ

პირველად მამამ ურჩია ესწავლა ენა, რომელიც თანდათან გაცილებით მნიშვნელოვანი ხდებოდა მსოფლიოში. მამა იყო მისი პირველი გულშემატკივარიც. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ, ეს როლი ლექტორებმა იტვირთეს და ახლა უკვე მათი რჩევით მოჰკიდა ხელი ერთ-ერთი ურთულესი ენის შესწავლას. საკუთარი თავისთვის ნათქვამმა „რატომაც არა“ და მოტივაციამ მიიყვანა ბიჭი ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონიდან ჩინეთის დედაქალაქამდე.

გოგი ყურაშვილის წარმატების გზა საკუთარი სამშობლოდან 6000 კილომეტრით შორს, პეკინში, ენისა და კულტურის უნივერსიტეტში გრძელდება. იგი უკვე ნახევარი წელია ჩინურ ენას ეუფლება, მანამდე კი 3 წელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლა, შემდეგ გაცვლითი პროგრამით ეწვია აზიას, სადაც კიდევ ნახევარ წელს გაატარებს.

ზემო ქვალონიდან პეკინამდე

ქართველი სტუდენტი ჩინეთში

–რატომ გადაწყვიტე ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება და რატომ მაინცდამაინც ჩინეთი?

–პროგრამის შესახებ იმ მეგობრებისგან გავიგე, რომლებიც უკვე გამოცდილები იყვნენ. გადავწყვიტე მეც მეცადა და, როგორც ჩანს, ჩემი მცდელობა წარმატებული გამოდგა. ყოველთვის მიყვარდა გამოწვევები და მხიბლავდა ეგზოტიკა, პეკინი კი სწორედ მათი ნაზავია. ამ კითხვას ხშირად მისვამენ არა მარტო ქართველები ან ევროპელები, ჩინელებიც კი. რატომღაც უკვირთ. ყოველთვის მინდოდა, ქვეყნის საზღვრებს გავცდენოდი და სწავლა უცხოეთში გამეგრძელებინა. როცა გავიგე, რომ თსუ ორი ახალი უცხო ენის, ჩინურისა და იაპონურის შესწავლას მთავაზობდა, მე ჩინური ავირჩიე. მთავარი მოტივაცია, ალბათ, პეკინში სწავლის გაგრძელება იყო. გადავწყვიტე, მიმეღო ჯერ გამოწვევა და შემდეგ-გამოცდილება, არა მარტო სწავლის, ცხოვრებისაც.

–როგორც ვიცით, რამდენიმე წლის წინ სხვა გაცვლითი პროგრამით სწავლობდი ჩინეთში, მაშინ ერთ-ერთ პროვინციაში მოგიწია ყოფნა. რით განსხვავდება შენთვის ცხოვრება პატარა პროვინციასა და დედაქალაქს შორის?

–სრულიად განსხვავებულ ქვეყანაში ცხოვრება ჩემთვის ნამდვილად დიდი შანსია. შანსი, რომელიც, უნივერსიტეტმა მომცა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, როცა სხვა გაცვლითი პროგრამით ხუნანის პროვინციას ვეწვიე. თუმცა, მეორე ვიზიტი სრულიად განსხვავებული და გაცილებით ხანგრძლივი გამოდგა. ამჯერად, საკმარისი დრო მაქვს ადგილობრივებისთვის საქართველოს გასაცნობად. ორ ნაწილად გაყოფილი ჩინეთის პოლიტიკურ ნაწილში საქართველოს შესახებ მეტს სმენია, ვიდრე პატარა პროვინციებში. აქ მსოფლიოს ცნობადობაც გაცილებით მაღალია და პროვინციებისგან განსხვავებით, უცხოელებს „მუზეუმის ექსპონატებად“ არ აღიქვამენ.

რამდენად იცნობენ ჩინეთში საქართველოს? რა სმენიათ კავკასიის ამ პატარა ქვეყნის შესახებ?

–აქაურების დიდმა ნაწილმა საქართველოს შესახებ არაფერი იცის, ზოგი კი პირიქით–გაგაოცებს, იმდენ რამეს მოგიყვება. ცნობადობა ძირითადად სტალინს უკავშირდება, რაც ახალი თაობისათვის არც ისე სასიამოვნოა – „ა, სტალინის ქვეყნიდან ხარ?!“- ნამდვილად არაა ის, რის მოსმენასაც ისურვებდი, მაგრამ სტალინი აქაურებისთვის საკულტო ადამიანია, მეოცე საუკუნის უძლიერესი მმართველი, ამიტომ კამათს აზრიც არ აქვს. ნაწილი ნამყოფია კიდეც საქართველოში და ხსენებისთანავე მაჩვენებს თბილისის, მცხეთისა თუ ბათუმის ფოტოებს. ასეთი რაღაცები გულს გითბობს, გახარებს.

რა კეთდება იმისათვის, რომ თუნდაც სტუდენტებმა უკეთ გაიცნონ საქართველო?

–მათთვის, ვინც ქვეყანას ჯერ არ იცნობს, პეკინის უნივერსიტეტში კულტურის ფესტივალი იმართება, როგორც ადგილობრივები მას უწოდებენ – „ვენხუაძიე“. აქ გამოფენილ სტენდებზე მილიონობით ადამიანს აქვს საშუალება, გაეცნოს ქართულ კულტურას და გაიგოს მეტი ჩვენი ქვეყნის შესახებ.

სირთულეები ადაპტაციის პროცესში...

–პირველი შოკი იყო ჩემთვის, როცა აღმოვაჩინე, რომ ჩინელები არ ჭამენ პურს, ყველს, რძეს, მარილიანს – იმას, რაც ქართული სამზარეულოსთვის ასეთი ორგანულია. ზოგადად, შეგუების პროცესი რთული იყო, ძალიან დიდი სხვაობაა კულტურათა შორის. მაგრამ აქაურები ძალიან დამეხმარნენ, მათთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია, მათი ენითა და კულტურით რომ ინტერესდება უცხოელი, ამიტომ ყველაფერს აკეთებენ უკეთ ინტეგრაციაში ხელშესაწყობად. თუმცა, ხანდახან ეროვნული სიამაყის განცდა „ერთვებათ“ და თუკი ნებისმიერ კითხვაზე

უპასუხე, საქართველო ან ქართული სამზარეულო ჯობიაო, ყველანაირად ეცდებიან, გადაგარწმუნონ.

როგორ ფიქრობ, რა არის მთავარი განსხვავება ქართველი და ჩინელი ხალხის ხასიათს შორის?

–ზედმეტად მოწესრიგებულები არიან, რობოტიზაციის დონემდე, რაც ჩვენთვის ცოტა უცხოა. მახსოვს, ერთხელ გზა ჩაინგრა უნივერსიტეტთან. საქართველოში მის აღდგენას, ალბათ, თვეები დაჭირდებოდა, ჩვენ კი მეორე დღეს ვერც კი მივხვდით, ზუსტად სად ჩამოწვა მიწის მასა, კვალიც კი არსად იყო.

თუმცა, არის რაღაცები, რაშიც „ვჯობნით“. აქაურები ზედმეტად მატერიალისტები არიან. თუკი საქართველოში შეგვიძლია ერთმანეთს დავეხმაროთ, აქ უსასყიდლოდ რაიმე დახმარების მიღება თითქმის გამორიცხულია. მარტივ რაღაცეებს არ ვგულისხმობ, პირიქით, თუ, მაგალითად, გზა აგერია და იკითხე, შეიძლება გამოგყვნენ და მიგაცილონ კიდეც.

თავად ჩინელები ამჩნევენ ამ სხვაობებს?

–ის, ვინც საქართველოს იცნობს, პირადი გამოცდილებით რამდენიმე განსხვავების გაზიარებას არ დაგზარდება ხოლმე, მაგალითად, ჩემთვის უთქვამთ, რომ, თურმე მათთვის ძალიან უჩვეულოა, როცა სახელმწიფო დაწესებულებები დილის 10 საათზე იწყებენ მუშაობას. ჩინეთში დღე გამთენიის 5-ზე იწყება და მთელი დღე პროდუქტიულ მუშაობაში გადის.

როგორია ქართველი სტუდენტის ერთი დღე პეკინის უნივერსიტეტში?

–აქაური უნივერისტეტების გარშემო სტუდენტური ქალაქებია მოწყობილი, საცხოვრებელი კამპუსებით, სასწავლო კორპუსებით, სპორტული მოედნებითა და ასე შემდეგ. დილაადრიან დაწყებული ლექციები დღის პირველ ნახევარშივე სრულდება ამიტომ, ხშირად გვრჩება დრო გართობისთვის–პეკინში კი ყველაფერია გასართობად.

რა მოგცა პეკინის უნივერსიტეტმა ახალი?

–გარდა განათლებისა, აქ ყველაზე მნიშვნელოვანი–ადამიანური ურთიერთობები მივიღე. აზიის, ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ სტუდენტებთან ერთად, მთავარ ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც ვიძენ.

საქართველო თუ ჩინეთი –რომელ ქვეყანას უკავშირდება შენი გეგმები?

– ჯერ-ჯერობით კვლავ ჩინეთი, შემდეგ კი საქართველო. ზოგადად, 10-15 წელზე გათვლილი გეგმები არ მაქვს. სპონტანურად ვცხოვრობ და ეს ამართლებს. საქართველოში კიდევ ერთი კურსი უნდა ვისწავლო, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კი ვგეგმავ, დავბრუნდე ჩინეთში სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლებლად, თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, სპონტანურობას შევეჩვიე, ამიტომ შეიძლება ამ ერთ წელიწადში რაღაცები შეიცვალოს. ზუსტად ვიცი მხოლოდ ის, რომ ბოლოს მაინც ვიქნები საქართველოში და ჩემს ცოდნასა და გამოცდილებას ამ ქვეყანას მოვახმარ“.

ქართული კვირა
www.kartuli.kvira.ge.

მენინგოპოლიმიელიტი

(სიმპტომები, მკურნალობა და რეკომენდაციები)

მენინგიტი, მენინგოკოკური ინფექცია, მენინგოკოკცემია-ინფექციები, რომლებიც ერთობ საშიშია, თუმცა მასზე საზოგადოება ნაკლებ ინფორმირებულია.

ეს ინფექციური დაავადებები საქართველოში საბედნიეროდ ხშირად არ ვლინდება, თუმცა აუცილებელია დროული დიაგნოზის დასმა, ყურადღება, რათა შემთხვევა ლეტარულად არ დასრულდეს.

საქართველოში ყოველწლიურად მენინგოკოკცემიის 20-მდე შემთხვევა რეგისტრირდება. მაღალია მენინგოკოკცემიით გამოწვეული ლეტალობა (10-20%) განსაკუთრებით, მენინგოკოკცემიის ელვისებური ფორმების დროს.

მენინგოკოოცემიით უპირველესად ავადდებიან ბავშვები, 5 წლამდე ასაკის ბავშვები ავადმყოფთა 70%-ს შეადგენენ. შემთხვევათა განვითარება და მატება იწყება შემოდგომაზე და პიკს აღწევს გაზაფხულზე.

მენინგოკოკი არის მიკრობი, რომელიც იწვევს მენინგიტსაც და მენინგოკოკცემიასაც, რომელიც ყველაზე მძიმე ფორმაა, ეს არის სისხლით მოწამვლა, ოღონდ მენინგოკოკით გამოწვეული და აზიანებს ბევრ ორგანოს.

როგორია ამ დაავადების სიპტომები?

–შეიძლება ადამიანს თითქოსდა არაფერი ჭირდეს, უბრალოდ ჰქონდეს მაღალი ტემპერატურა, ძლიერი თავის ტკივილი და შეიძლება რამდენიმე საათში ისე დამძიმდეს, რომ პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდეს. ამიტომ მენინგოკოკცერმიიდან ერთადერთი თავდაცვა არის ის, თუ აქვს ადამიანს მაღალი ტემპერატურა და თავის ტკივილი, ბავშვს განსაკუთრებით, დედამ აუცილებლად უნდა დაათვალიეროს სხეული და ერთი პატარა ვარსკვლავისებური სისხლჩაქცევაც რომ ნახოს, უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას.

მენინგოკოკური ინფექციას მტარებლობა ახასიათებს. ეს ნიშნავს, რომ ჩატარებული გამოკვლევებით მოსახლეობის 1% ამ დაავადების მატარებელია, ოღონდ მათ არაფერი ჭირთ, ჯანმრთელები არიან, ორი კვირა ერთი ადამიანი იქნება მატარებელი, ორი კვირა სხვა და ასე რომ ჩამოივლის ყველას, ვიღაცას ამოარჩევს, რომელსაც დაემართება მენინგოკოკცემია. ამ დაავადების თვისება ის არის, რომ მოულოდნელად შეიძლება დაემართოს ადამიანს.

დაავადება ვრცელდება წვეთოვანი გზით, დახველებით, დაცემინებით. წვეთი მოხვდება ახლოს მყოფი ადამიანის ლორწოვან გარსზე და შეიძლება დაავადდეს, ისე მიკრობი ძალიან სუსტია და გარშემო მალე კვდება, ეს არის წვეთოვანი და არა ჰაეროვანი დაავადება, მაგრამ ვისგანაც შეიძლება გადმოგვედოს, ის ადამიანი ავადმყოფი რომ იყოს არ არის აუცილებელი, უბრალოდ ჯანმრთელი მატარებელია.

ისეთი ადამიანი არ არსებობს, ვისაც მენინგოკოკი შეიძლება არ ჰქონდეს ცხვირ-ხახაში, ეს ნიშნავს იმას, რომ 1000 ადამიანიდან 999-ს არაფერი არ მოუვა.

მისი საწინააღმდეგო აცრა საქართველოს მოსახლეობის აცრების ეროვნული კალენდრით არ არის გათვალისწინებული, ისე სხვა ქვეყნებში, რამდენიმეჯერ ტარდება მისი საწინააღმდეგო აცები.

საქართველოში წელიწადში საშუალოდ მენინგოკოცემიის 10-15 შემთხვევა ფიქსირდება, მათ შორის 90% არის 4 წლამდე ბავშვები, უპირატესად პაციენტთა უმრავლესობა პატარა ასაკის ბავშვებია.

2016 წელს საქართველოში მენინკოკოცემიის 8 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან ერთი მოზრდილი, დანარჩენი ბავშვები, ორი შემთხვევა სამწუხაროდ, გარდაცვალებით დამთავრდა.

2015 წელს იყო 19 შემთხვევა, 4 ლეტალური გამოსავლით. ლეტალური შემთხვევები არის დაგვიანებული დიაგნოზის შემთხვევაში.

დაავადების შემთხვევები ფიქსირდება ევროპის მრავალ ქვეყანაში, ყველაზე ბევრი შემთხვევა გვხვდება აფრიკის კონტინენტზე, ჩვენთან გაცილებით ცოტაა ამ დაავადების რაოდენობა.

როგორ შევძლოთ დაავადების პრევენცია ანუ თავიდან აცილება? მთავარია ექიმთან დროული მიმართვა, ბავშვს მაღალი ტემპერატურის და თავის ტკივილის ფონზე, კანზე ერთი პატარა ვარსკვლავისებური სისხლჩაქცევა თუ გაუჩნდა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ სამედიცინო დაწესებულებას, ხშირად დათითქმის ყოველთვის მენინგოკოკცემიის დროს საათებს და წუთებსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ანამნეზური მონაცემებისა და გასინჯვების საფუძველზე ექიმი იღებს გადაწყვეტილებას პაციენტის შესაბამის სტაციონარში მოთავსებისა და ადექვატური მკურნალობის დანიშვის შესახებ.

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი-პროფილაქტიკოსი.

სულთათანა

ლიანა ძიძავა-ნაჭყებია

„სიკვდილის კი არ უნდა გეშინოდეს, არამედ იმის, რომ ვერასოდეს დაიწყებ სიცოცხლეს". სიკვდილი გარდაუვალია, ოღონდ არავინ იცის თუ როდის მოვა ის. შენ სიკვდილზე არასდროს ფიქრობდი, არც მაშინაც, როცა მის მოლოდინში იყავი. არც გეცალა სიკვდილისთვის... შენი ცხოვრება სევდით იყო სავსე...საყვარელი მეუღლის დაკარგვამ ცხოვრება წაგართვა. ამას დაემატა აფხაზეთის ტრაგედია...შენი მშობლების უბედურება.... ყველაფერს იტანდი, თუმცა ეს არ იყო ადვილი...

მარტოდმარტო ზრდიდი ობლებს. ცივ ნიავს არ აკარებდი მათ. ბედნიერი იყავი იმით, რომ შენს შვილებთან იყავი.... ყოველთვის გინდოდა არ ეგრძნოთ ობლობა. სკოლა, სახლი, ბავშვები-ეს იყო შენი საზრუნავი.

უფლის მადლიერი იყავი, ხშირად იტყოდი–მადლობა უფალს, ჭკვიანი და დამჯერე შვილები რომ მყავსო. მათი არა მარტო დედა იყავი, არამედ მეგობარი... და-ძმის თანადგომა არ მოგკლებია, სულ შენს გვერდით იყვნენ. განიცდიდი, რომ შენგან შორს ცხოვრობდნენ, ხშირად ჩამოდიოდნენ შენთან, ოღონდ შენ ყოფილიყავი ბედნიერი და ყველაფერს აკეთებდნენ, თუმცა ვერა და ვერ წაართვეს შენი თავი სიკვდილს. დიდხანს ებრძოდი მას, განვიკურნეო, ამბობდი. შვილები გავაწვალეო, მართლაც სანთლით საძებარი შვილები დატოვე.

გახარებული იყავი, მათი ბედნიერებით ხარობდი. ჩემს შვილებს კიდევ ვჭირდებიო... შვილიშვილების გაზრდაში უნდა დავეხმაროო. ახლა მათზეც ზრუნავდი.

წელს პირველად არ მივდივარ სკოლაშიო... მიუხედავად შენი სურვილისა, განიცდიდი სკოლის მიტოვებას... გეძნელა... გაცილებას ვაწყობდით... შენც იცოდი და გიხაროდა, ჩვენთან მოსვლას აპირებდი... თუმცა მანამდე წახვედი და დიდი ტკივილი დატოვე. და-ძმამ და შვილებმა ვერ შეძლეს სიკვდილისთვის სიცოცხლის წართმევა. იქაც გელოდნენ შენი საყვარელი მეუღლე და მშობლები...სიკვდილის ჟამს მათ სახელს იძახდი... დაღლილი იყავი ტკივილით... შენ იყავი ერთგული და საყვარელი მეუღლე, გმირი დედა, რომელმაც თავი დასდო შვილებისთვის... მოსწავლეებისთვის საყვარელი მასწავლებელი, სანდო და საიმედო თანამშრომელი, კეთილსინდისიერი ადამიანი... საუკეთესო მეზობელი...

მართალია, ყველა ადამიანი მოკვდავია, ზოგი მართლაც კვდება, შენ არ ხარ მკვდარი, რადგან არასდროს დაგივიწყებენ შენი შვილები, და-ძმა და ახლობლები. მათში უკვდავი იქნები მუდამ, სანამ იცოცხლებენ. შენისთანა სულით და ხორცით წმინდა ადამიანი უფლის გვერდით იქნება...

რას იზამ, ასეთია ცხოვრება, ზოგი ადრე მიდის, ზოგი გვიან.... არავინ იცის, ვინ როდის მიდის... ალბათ, ყველაფერი ღვთის ნებაა...

ჩვენ კი არასდროს დაგივიწყებთ.

განისვენე მშვიდად.

ნინელი ხუხია,
ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგთა სახელით.

მშვიდობით!

მიდიან საყვარელი ადამიანები, ტოვებენ წუთისოფელს, მარადისობას უერთდებიან, თან მიაქვთ შენი სულის ნაწილი და გიტოვებენ მათი წასვლით გამოწვეულ უდიდეს ტკივილს. მერე, ალბათ, შენც გიადვილებენ წასვლას... მისთვის არასდროს მითქვამს როგორ მიყვარდა, რომ უდიდეს პატივს ვცემდი როგორც არაჩვეულებრივ დედას, ბებიას... თუმცა ეს ისედაც იგრძნობოდა ჩვენს ურთიერთობაში.

სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა, მჯერა, რომ :

„მე შორს არა ვარ, ზუსტად გზის გადაღმა ვარ...

ხომ ხედავ, ყველაფერი კარგად არის..."

...და როგორც გვჩვევია, სამწუხაროდ ადამიანებს, დღეს გეუბნებით ხმამაღლა, რაც რატომღაც სიცოცხლეში ვერ გითხარით, ძალიან გვიყვარხართ.

ქეთევან გაბისონია

ქვემო ქვალონის №2 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს სკოლის დირექტორს ქალბატონ იზოლდა ცხადაიას ძმის

თენგიზ ცხადაიას

გარდაცვალების გამო.

ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი

ლიანა ძიძავა-ნაჭყებია

და თანაუგრძნობენ მის ოჯახს და ახლობლებს.

ხობის მუნიციპალიტეტის პირველობა მარულაში

შეჯიბრებაში 14 ცხენოსანი მონაწილეობდა.

პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ცხენოსნებს თასები, სიგელები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

I ადგილი–მიხეილ ბარნაძე (ქვემო ქვალონი)

II ადგილი–პაატა ლატარია (თორსა-დღვაბა)

III ადგილი–ნიკა ბუკია (თორსა-დღვაბა)

ღონისძიება, რომელიც მარულას ტრადიციის აღდგენას და პოპულარიზაციას ისახავს მიზნად, მერიის მხარდაჭერითა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი ცენტრის“ ორგანიზებით განხორციელდა.

სპორტულ შეჯიბრებას პარლამენტის წევრი დაჩი ბერაია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ფარცვანია, მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა ესწრებოდნენ.

ქეთევან ბერიძეს

სამი წლის წინ აჭარიდან ჩამოსახლებული, იმჟამად ხობში მცხოვრები მარიამ ბერიძე გაქრისტიანდა, მის გზას უფროსი და ქეთევანი გაყვა, ჯერი პატარა ძმაზეა!

წარმოუდგენელია საქართველოში მარიამი და ქეთევანი მოუნათლავი! კიდევ ბევრჯერ მოუწევს გურამ ბაბუას იმ სიტყვების გამეორება: „იყოს ნება ღვთისა, რწმენას არ ეღალატების!“

ისევ იქუხა სამასი წლის წინანდელმა სისხლის ყივილმა!

აქ ღმერთის ხელი ურევია, ღმერთი იყოს მათი მფარველი!

*** ****

ნაჯიჯგნო და ნაწამებო,
ქეთევანის წამწამებო,
დღეს შენს სახელს ვარქმევთ ქართველს,
საქართველო გინთებს სანთელს!
მძიმე ხვედრი დაგვებედა,
შენისთანა ყველა დედას!
ჯვლავ გამოჩნდა ქეთევანი,
დიდ წარსულის მიმდევარი!
შენ ხომ იმ თვეს მოინათლე!
როცა ქრისტე ბეთლემს იშვა!
გზა ტაძრისკენ გაინათე,
გაუმარჯოს შენს გულისთქმას!
საქართველოს დღეს სჭირდება,
ქეთევანი და თამარი,
აქ დახევა არ იქნება,
აუშლიათ მტრებს ფაფარი!
აგუგუნდა დედო ზარი!
საქართველოს ისე უჭირს,
ზე აღვმართოთ ქრისტეს ჯვარი!
სანამ ქართველს ხმალი უჭრის!
ჩვენ დიდგორის ველზე ვდგავართ!
მათებრ გვმართებს შემართება,
ღვთისმშობელი დაგვიფარავს,
საქართველო გადარჩება!
დღესაც ჩვენი ქეთევანი
მოწამებრივ გზაზე ადგას,
რომ არ დარჩეს დასანანი,
რომ არ გასცდეს ქრიტეს ჯვარცმას!
ჯიდევ ბევრი ქეთევანი.
დაებედოს საქართველოს,
სისხლით, ცრემლით განაბანი.
ვინც სამშობლო ასახელოს!
სამასი წლის უღვთო წარსულს!
ენას, რწმენას, მამულს ჯვარცმულს!
აღსრულდება უფლის ნება-
საქართველო გაბრწყინდება!

ბადრი ლომაია.

გვარის სიძლიერე მის ერთობაშია

წელიწადის ულამაზეს დროს, შემოდგომა-ზამთრის გასაყარზე, ერთი ოქროსფერი დღე შეარჩიეს კვიკვინიების გვარის წარმომადგენლებმა და შვილებით, შვილიშვილებით, ჯიშით, ჯილაგით „აია სოფიას“ (პირველი მაისის) ტაძარში მოილოცეს.

ხალხური თქმულებით, რომლის ინფორმაციაც ამ გვარის ღირსეულმა წარმომადგენელმა, მეცნიერმა, ფსიქოლოგმა, ასოცირებულმა პროფესორმა გურამ კვიკვინიამ მომაწოდა, 1184 წელს, თამარ მეფის ეპოქას უკავშირდება. თურმე მეფე თამარი სამეგრელოს, კერძოდ ხობის ღვთისმშობლის ტაძარს სტუმრობდა. უცებ მის თავზე ქორი გადაფრენილა. ეს შეუმჩნევლად არ დარჩენია ახალგაზრდა ბიჭს. შვილდისარი აუღია, უსვრია და ქორი ჩამოუგდია. ამ დროს გაბრაზებულ თავადს გვარად ჩიქოვანს დაუძახია–„ქუმორთი წიე აშო, მუჭო იკვიკვინანქი“, როგორ ბედავ მეფის წინაშე სროლასო. ბიჭს დაუფიქრებლად უპასუხნია, მე კი არა, ქორმა, როგორ გაბედა მეფის თავზე გადაფრენაო. თამარს მოსწონებია ბიჭის საქციელი და უთქვამს, ჩემს ამალას აახლეთო. თვითონ ბედიის მონასტერში წასულა მოსალოცად. აქეთობისას ბიჭი მოუკითხავს და მათთან წასვლა შეუთავაზებია, მაგრამ უარი მიუღია, აქ მირჩევნიაო. მაშინ მეფეს უბრძანებია ჩემი მამულები უბოძეთო.

ამ ძირძველ სოფელს არაერთი ღირსეული პიროვნება ამშვენებდა და ამშვენებს დღესაც მაღალი განათლებით, ინტელექტით, შინაგანი კულტურით, დახვეწილი გემოვნებით, რომელიც ყველა გვარისთვის საამაყოა. ამ გვარის არაერთ წარმომადგენელს წონადი წვლილი შეჰქონდა კულტურის, ეკონომიკის სფეროში. 100 მეტმა ვაჟკაცმა მამულს შესწირა თავი. ბევრმა მათგანმა სიცოცხლეშივე ღირსეული კვალი დატოვა. ესენია დამსახურებული პედაგოგები შურა, გოგუცა, ეთერი, ვალერიან, ხუტა კვიკვინიები. ინჟინერ პოლიგრაფი ლეილა კვიკვინია, რესპუბლიკაში კარგად ცნობილი აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი წლების განმავლობაში სოხუმის რაიკომის პირველი მდივანი ვასო (ვასილ) კვიკვინია. პირველი მაისის პირველი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ კვიკვინია, წლების განმავლობაში პირველი დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა თავმჯდომარე ხუტა (იასონ) კვიკვინია, საამაყო ადამიანი ვანია კვიკვინია–წლების განმავლობაში სოფლის თავკაცი. თბილისის კავშირგაბმულობის სამინისტროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ხობის და ხობელების საამაყო შვილი ნუგზარ კვიკვინია, ყოფილი ბანკირი კანდიკო კვიკვინია.

დიდება მათ ხსოვნას!

ადამიანები, როგორც გვარში არის გვარის საამაყო და თავმოსაწონი, დღეს სოფლის და გვარის სახეს წარმოადგენენ წარმატებული ადამიანები, ცნობილი ბიზნესმენი ზაურ კვიკვინია, 6 გზის მსოფლიოს და 8 გზის ევროპის ჩემპიონი გენადი კვიკვინია, დამსახურებული პედაგოგები ნინო და ნანა კვიკვინიები, საქართველოს პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლი, აფხაზეთის ომის ვეტერანი გურამ კვიკვინია, ახალგაზრდა ხელოვანი ლაშა კვიკვინია, მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძაგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ელისო კვიკვინია და სხვები და სხვები.

დიდხანს ეფერებოდნენ ერთმანეთს კვიკვინიების ძველი და ახალი თაობა. რესტორან „ღიმილში“ გამართულ სუფრაზე, რომელსაც მურად ჯობავა მასპინძლობდა, ხოლო სუფრას უძღვებოდა უბადლო და უცვლელი თამადა, სოფლის მოჭირნახულე, გამორჩეული პიროვნება, ისტორიკოსი, ფაზისის საერო აკადემიის აკადემიკოსი ბატონი გიგლა კვიკვინია.

სუფრა გვიან ღამემდე გაგრძელდა...

კვიკვინიებს სტუმრობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალბატონი მარინა ლაგვილავა, ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის ტაძრად მიყვანების, წმიდისა დიდისა მოწამისა გიორგისა და წმინდისა მღვდელთმთავრისა და საკვირველმოქმედისა ნიკოლოზის საეკლესიო კომპლექსის და სა-პატრიარქო რეზიდენციის წინამძღვარი იაკობი (სურმავა), ბერი ანტონი, მამა ლაზარე არახამია, ამავე სოფლის სკოლის დირექტორი, კოლორიტი ადამიანი კობა კვიკვინია...

მეც ვუერთდები კვიკვინიების სიხარულს და ვუსურვებ ბედნიერებას, გაძლიერებას, გამრავლებას.

ღმერთმა დალოცოს მათი გვარი და ქართველი ხალხი, სრულიად საქართველო!

ქვეყნის სიძლიერე გვარის ერთობაშია.

პატივისცემით

ნაირა ბერაია.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა, ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში.
ტელ: 0 (414) 22-21-31; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.